დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
წევრები:
სოფიო გაგოშიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნინო გოგორელიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თინათინ ნანობაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნონა გამხიტაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თეოდორა ლემონჯავა - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
მარინე ახალაია- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ჩილინგარაშვილი- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970796

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუბი
ფაქტობრივი მისამართი	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუბი
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდის ლინკი https://l1nq.com/lp7n1td
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Gubi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	557600081

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (არსებობის შემთხვევაში) ტელეფონის ნომერი	595510725

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 26 0000392831 01/04/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 30 აპრილი და 1მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუბი სკოლა (შენობა 1)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუბი სკოლა (შენობა 1)

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუბი სკოლა (შენობა 1)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 1 აპრილი MES 9 26 0000392831 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 30 აპრილი-1 მაისის განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლაში. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით, პოზიტიურ, აქტიურ და ეფექტურ გარემოში. სკოლაში ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესში ზოგადი განათლების ექსპერტების მიერ განხილული იქნა სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ადგილზე იქნა შესწავლილი სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, საქმისწარმოების განხორციელების პროცედურები და სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool). განხორციელდა ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან. საგნობრივმა ექსპერტებმა, ონლაინ რეჟიმში, Google Meet-ის პლატფორმის საშუალებით განახორციელეს გასაუბრება შესაბამის კათედრების მასწავლებლებთან მეორე სტანდარტთან მიმართებით. მოხდა შეხვედრა და გასაუბრება საბაზო და საშუალო საფეხურის რამდენიმე მოსწავლესთან ასევე მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ვიზიტის დასასრულს მოხდა შეხვედრა და გასაუბრება მთელ სასკოლო საზოგადოებასთან, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა განათლების მიმართულებით, როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროექტში/პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა გახლავთ მცირეკონტიგნტიანი სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობები, როგორც სასკოლო, ისე კლასისა და საგნის ფარგლებში. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში, ასევე სკოლის ეზოში მრავლადაა განთავსებული სხვადასხვა აქტივობის და პროექტში ჩართულბის ამსახველი მასალა. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად სკოლის ძლიერ მხარედ დასახელდა გუნდურობა და თანამშრომლობა, მოსწავლეთა უპირობო მხარდაჭერა. მშობელთა ჩართულობა. მოსწავეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ის რასაც მათ სკოლას უნიკალურობას სძენს არის დირექციის მხარდაჭერა და სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:240	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.5.1.3.	**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სკოლამ უნდა უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის სექტემბრამდე სკოლაში არსებული წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და აღრიცხვა
ინდიკატორი N3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (2027 წლის მაისი) სკოლის ინფრასტრუქტურის სრულად მისაწვდომობა და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს შექმნა სკოლის შენობაში, რათა მოხდეს ეტლით მოსარგებლე პირთა თავისუფალ გადაადგილება და სასწავლო რესურსებზე თანაბარ წვდომა სკოლის მთელ პერიმეტრზე
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საგაზო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილი უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო	სკოლამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (2027 წლის მარტი) უკვე არსებულ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის სავენტილაციო მოწყობილობა და/ან ახალი ლაბორატორიის მოწყობა

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილი უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის	სკოლამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (2027 წლის მარტი) უკვე არსებულ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის სავენტილაციო მოწყობილობა და/ან ახალი ლაბორატორიის მოწყობა

	მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო	

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია, სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში უფრო დეტალურად და მკაფიოდ განსაზღვროს მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციური მოვალეობები. კერძოდ, დაკონკრეტდეს მონიტორინგის პროცესში ჩართულ პირთა/სტრუქტურულ ერთეულთა (მაგ: ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრები) როლი მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესის ობიექტურობა და ვალიდურობა.
ინდიკატორი 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დანერგოს სასკოლო საზოგადოებისგა (მოსწავლეები, მშობლები, სკოლის პერსონალი) უკუკავშირის მიღების სისტემური ინსტრუმენტები (მაგ: კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუს ფორმები). მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ არა მხოლოდ მოახდინოს მიღებული ინფორმაციის ანალიზი, არამედ უზრუნველყოს ამ ანალიზის შედეგების საჯაროობა და მათი გამოყენება მომავალი წლის სამოქმედო გეგმის კორექტირების პროცესში.

სტანდარტი N	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.2.2	**სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**	სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ფარგლებში დანერგოს მასწავლებელთა საქმიანობის პირდაპირი შეფასების სისტემური კომპონენტები. კერძოდ: გაკვეთილზე დაკვირვება, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და რუბრიკების საფუძველზე. მასწავლებლის თვითშეფასება, პედაგოგის მიერ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი; კოლეგის შეფასება: კათედრების ფარგლებში ურთიერთდასწრებების განხორციელება და მათი წერილობითი ანალიზი
ინდიკატორი 3.2.1.1	**სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**	სასურველია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები გახდ უფრო დინამიური და დაეფუძნოს ყოველწლიური შეფასების ციკლს, სადა მკაფიოდ გამოჩნდება კავშირი დადგენილ საჭიროებასა და განხორციელებულ აქტივობას შორის
ინდიკატორი 3.2.1.2.	**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**	სკოლამ სასურველია იზრუნოს, რომ პედაგოგთა საჭიროებების გამოვლენის კვლევასა და კოლეგებისთვის უკუკავშირის მიცემას არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი სახე და შეიმუშაოს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების გამოკვეთის ფორმები.
ინდიკატორი 3.3.1.3.	**სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**	სასურველია სკოლის მართვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს გასაჩივრების დეტალური პროცედურების ამსახველი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს საჩივრის წარდგენის, რეგისტრაციის, განხილვის ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, რაც ხელს შეუწყობს

		სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას და კონფლიქტების სამართლიან მართვას
სტანდარტი N	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას**	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** • სასურველია, რომ კურიკულუმებით უზრუნველყოფილი იყოს ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლა • გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალებები დააფუძნონ კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზონ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. • გაითვალისწინონ, კომპლექსური დავალების პირობაში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი პროდუქტის აღწერა. • გაითვალისწინონ, კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემების ასახვა და არა სახელმძღვანელოს თემების.

		• დაწყებით საფეხურზე, საგანში „მე და საზოგადოება", სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება (საკითხი/საკითხთა კლასტერი) მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება. • თემები ჩაწერონ პირველ სვეტში.ასევე სამიზნე ცნება ყველა კლასში გაასწორონ და გადაიტანონ მე-2 სვეტად.
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს. **ესთეტიკური აღზრდა** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში გაიწეროს რამდენილე თემა. **სპორტი:** სკოლამ დაწყებითი საფეხურის 4-5 კლასების კურიკულუმებში მძლეოსნობის და პროექტული სწავლების თემებში შეავსოს კონტექსტ მაგალითის და დავალების პირობის სვეტები. 6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არსებულ მძლეოსნობის თემაში წერია ტექნიკის დახვეწა რაც შეესაბამება საშუალო საფეხურის

		სტანდარტს. დაწყებით საფეხურს შეესაბამება ტექნიკური ელემენტების შესწავლა.
ინდიკატორი *ინდიკატორი* N 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით.ასევე, კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ესთეტიკის აღზრდა** საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოითხოვს კორექციას, რათა სრულად მიემართებოდეს ესგ გრძელვადიან მიზნებს. **სახელმწიფო ენა** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ

		კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **სპორტი** ამ დროისათვის სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის ავარიული მდგომარეობის გათვალისწინებით სასურველია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მეტი თეორიულად შესასწავლი თემები პროექტული სწავლების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**სახელმწიფო ენა**

		სასურველია შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ყველა თემისთვის შექმნათ განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;*	**სახელმწიფო ენა** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა თუ თემაზე.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საგაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს. **ესთეტიკური აღზრდა**

		საგან სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია გაიწეროს სრულ შეასაბამისობაში ესგ მიზნებთან.
ინდიკატორი *ინდიკატორი* N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით.ასევე, კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკის აღზრდა** საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოითხოვს კორექციას, რათა სრულად მიემართებოდეს ესგ გრძელვადიან მიზნებს. **სახელმწიფო ენა** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ

		კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **სპორტი** ამ დროისათვის სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის ავარიული მდგომარეობის გათვალისწინებით სასურველია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მეტი თეორიულად შესასწავლი თემები პროექტული სწავლების გათვალისწინებით. საბუნებისმეტყველო: წლის ბოლოს განხორციელდეს კურიკულუმის რევიზია და გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე ცვლილებები აისახოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში.

ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**სახელმწიფო ენა** სასურველია შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ყველა თემისთვის შექმნათ განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;*	**სახელმწიფო ენა** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა თუ თემაზე.
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს. **ესთეტიკური აღზრდა**

		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში გაიწეროს რამდენილე თემა.
ინდიკატორი *ინდიკატორი* N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით.ასევე, კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ესთეტიკის აღზრდა** საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოითხოვს კორექციას, რათა სრულად მიემართებოდეს ესგ გრძელვადიან მიზნებს. **სახელმწიფო ენა** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე

		ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **სპორტი** ამ დროისათვის სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის ავარიული მდგომარეობის გათვალისწინებით სასურველია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მეტი თეორიულად შესასწავლი თემები პროექტული სწავლების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა**

		სასურველია შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე.
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;*	**სახელმწიფო ენა** კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა თუ თემაზე.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ქალბატონ ნინო ჟვანიას სახელზე წარმოდგენილ პასუხში (წერილი №MES 3 26 0000672230, 05/06/2026), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის სრულად დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. დაწესებულებამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და ახალი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება დაწესებულების მზაობას, გაითვალისწინოს ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები სასწავლო პროცესში. ვინაიდან სკოლამ ოპერატიულად უზრუნველყო დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ძირითადი ხარვეზების გამოსწორება და წარმოადგინა ამის დამადასტურებელი ვალიდური

მტკიცებულებები, ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს დაწესებულების პოზიციას ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე, რაც ასახულ იქნა საბოლოო დასკვნის შესაბამის ნაწილებში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიით და ხედვით განსაზღვრულია, ორგანიზებული სასწავლო–სააღმზრდელო პროცესითა და მაღალხარისხიანი განათლების დანერგვით ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში აღზარდოს ტოლერანტი, განათლებული, კონკურენტუნარიანი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, დემოკრატიული, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები, რაც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ხედვით განსაზღვრულია, რომ სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზეც, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილი აქვს სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2025 წლის 11 სექტემბრის N2 სხდომაზე

ინდიკატორი 1.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას გააზრებული აქვს მისიასა და ხედვაში გაცხადებული პრიორიტეტული მიმართულებები, ამ მიმართულებების ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ქმნის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპით მოსწავლეების, როგორც ფიზიკურ უსაფრთხოებას, ასევე ემოციურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. სასკოლო პროცესების დაგეგმვასა სკოლას გააზრებული აქვს მისიასა და ხედვაში გაცხადებული პრიორიტეტული მიმართულებები, ამ მიმართულებების ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ქმნის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. სასკოლო პროცესების დაგეგმვაში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით კლუბების, სახით;

სკოლას მისიიდან გამომდინარე სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ: ,,დედაენის დღე“, ,, ანბანთქება“ , ,,აყვავებული ნაკვალევი“, ,,ოქროსფერი შემოდგომა მათეს მარანში“, ,, ჩემი თვალით დანახული გალაქტიონი“, ,,ძველი ნითების ახალ სიცოცხლე“, ,,ვიცი ჩემი უფლებები, პატივს ვცემ სხვისას“, ,, ხიდები ერთმანეთისკენ“ საბუნებისმეტყველო და მათემატიკის ერთობივი პროექტი ,, ფიბონაჩის საიდუმლო ბუნებაში, ,, დედამიწა ჩვენი სახლია“ .

ინდიკატორი 1.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რომელშიც მოცემულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც თავად პედაგოგები, ისე სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და სკოლის მშობლების ნაწილი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების უზრუნველყოფის მექანიზმი. საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილია და მუშაობს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მისია ხედვა ღირებულებების შემუშავენისთვის სხვადასხვა სახის კითხვარი, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების და სკოლის მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალისათვის, რომლის მიხედვიდაც ახდენს ინფორმაციის ანალიზს და ასახავს შესაბამის დოკუმენტში.

ინდიკატორი 1.1.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აწყობენ შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან. გარდა ამისა სკოლა სასკოლო დოკუმენტაციას სასკოლო საზოგადოებას უზიარებს სოციალური ქსელის საშუალებითაც. სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და მშობელთა კრებებზე. ხელმისაწვდომობის გამო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში საჯაროდაა გამოკრული სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული დოკუმენტების ნახვა და გამოთხოვა შეუძლია სკოლის საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

ინდიკატორი 1.1.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დაწესებულების ოფიციალური სახელწოდება სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ტერმინოლოგიას. სახელწოდებაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სტატუსი, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითა და სკოლის წესდებით

ინდიკატორი 1.1.1.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ✓ ვებ- გვერდის ლინკი;
- ✓ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N136/ნ ((2011/08/19) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
- ✓ პედსაბჭოს ოქმი N1;
- ✓ მისიის,ხედვის, ღირებულებების შემუშავებისას გამოყენებული კითხვარი;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმებს. სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრისთვის ვიყენებთ SWOT- ანალიზის ფორმას. დოკუმენტი განსაზღვრავს საჯარო სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების , სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმს. ასევე აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებისთვის სხვადასხვა სახის კითხვარი, მშობლების, სკოლის მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალისათვის, რომლის მიხედვიდაც ახდენს ინფორმაციის ანალიზს და ასახავს შესაბამის დოკუმენტში.

ინდიკატორი 1.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდწლიანია, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს(ფილოსოფიას), გეგმაში რეალიზებულია ის მიზნები რომლებიც სკოლამ უნდა შეასრულოს შვიდწლიან ციკლში მისიის და ხედვის შესაბამისად. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. სტრატეგიული განვითარების გეგმა გახლავთ შვიდწლიანი. იგი მოიცავს 2025-2032 წლებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შეთანხმებულია სკოლის პედსაბჭოს მიერ და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მასში მოცემულია შვიდი მიზანი: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებური გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიზანი მოიცავს შესაბამის ამოცანებსა და აღნიშნული ამოცანების შესრულების პერიოდს.

ინდიკატორი 1.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. იგი განხილულია პედაგოგიური საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მასში მოცემული მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან. გარდა ამისა სკოლას შვიდწლიანი განვითარების გეგმაში მოცემული აქვს SWOT ანალიზი. სკოლასთან გასაუბრების შდეგად გამოიკვეთა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე განხილულ იქნება გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხი, და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოხდება ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის განვითარების შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და ემსახურება სკოლის განვითარებას .

ინდიკატორი 1.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, რომლებიც თანხვედრაშია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზანთან და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გარკვეულ პერიოდში. შესრულების ინდიკატორი გაზომვადია და განსაზღვრავს ნამდვილად შესრულდა თუ არა სკოლის მიერ გაწერილი აქტივობები.

აღნიშნულია რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი 1.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2,3
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ -ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გაწერილი აქვს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება წელიწადში ორჯერ იანვრისა და ივნისის თვეში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

რჩევა: სასურველია, სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში უფრო დეტალურად და მკაფიოდ განსაზღვროს მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციური მოვალეობები. კერძოდ, დაკონკრეტდეს

მონიტორინგის პროცესში ჩართულ პირთა/სტრუქტურულ ერთეულთა (მაგ: ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრები) როლი მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესის ობიექტურობა და ვალიდურობა.

ინდიკატორი 1.2.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოცემულია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, არსებულ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია თუ ვინ, რა პერიოდულობით არის ანგარიშვალდებული თითოეული ამოცანისა და მიმართულების შესრულებაზე. ასევე დეტალურად აღიწერება მონიტორინგისა და შეფასების ვადები და პრიორიტეტული მიმართულებების ცვლილებები. სკოლას, დირექტორის 2026 წლის 29 იანვარს MES 1260000269821 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი და შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ ზეპირ უკუკავშირს იყენებს სკოლის მომდევნო განვითარებისთვის.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს და დანერგოს სასკოლო საზოგადოებისგან (მოსწავლეები, მშობლები, სკოლის პერსონალი) უკუკავშირის მიღების სისტემური ინსტრუმენტები (მაგ: კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუს ფორმები). მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ არა მხოლოდ მოახდინოს მიღებული ინფორმაციის ანალიზი, არამედ უზრუნველყოს ამ ანალიზის შედეგების საჯაროობა და მათი გამოყენება მომავალი წლის სამოქმედო გეგმის კორექტირების პროცესში.

ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, ასევე სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების (ანგარიში) საჯაროდ ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების შესახებ ანგარიში გამოქვეყნდება სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გააანალიზებს და მიღებული შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრავს თუ რომელი ამოცანა/აქტივობა აღმოჩდა წარმატებული/წარუმატებელი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, ის შეიძლება სკოლამ კვლავ გაითვალისწინოს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას ან პირიქით, შესაძლოა საჭირო გახდეს მისი ცვლილება. რათა არ ავცდეთ სტრატეგიული გეგმის საბოლოო მიზანს.

ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 9 სექტემბრის N1
- ✓ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 11 სექტემბრის N2
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის MES 1260000269821 ბრძანება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საშტატო განრიგით, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ჰყავს თანამშრომლები, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია როგორც შრომით ხელშეკრულებებში, ასევე - სკოლის შინაგანაწესში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ასევე სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ", სკოლის წესდებით, ასევე სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებებში. სკოლას გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის სქემა/ ორგანოგრამა, რომლითაც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები და ურთიერთმიმართებები.
ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა და პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში განსახორციელებელი საქმიანობის ხარისხიან წარმართვას. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება–მოვალეობები და ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქციების დოკუმენტში, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებებისა და სკოლის

შინაგანაწესის მიხედვით. თითოეული რგოლი პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ყოველივე ეს ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საშტატო განრიგი;
- ✓ სკოლის სტრუქტურული ერთეულები/ორგანოგრამა;
- ✓ დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობებთან შესაბამისობაშია, კერძოდ, სკოლაში პროცედურები განისაზღვრება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით

ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რომლითაც დადგენილია პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკები და მათზე რეაგირების პოლიტიკა, რათა არ მოხდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფერხება/შეჩერება. სკოლაში მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ხდება მისი შეცვლა, რათა სრულფასოვნად განხორციელდეს სასწავლო პროცესი. სკოლამ ადგილზე წარმოგვიდგინა დოკუმენტი ,,შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი" სადაც ასახულია თუ როგორ ხდება მასწავლებლის ჩანაცვლება მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში. სკოლაში თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგალითად კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, ჟურნალების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და სხვა.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ფარგლებში დანერგოს მასწავლებელთა საქმიანობის პირდაპირი შეფასების სისტემური კომპონენტები. კერძოდ: გაკვეთილზე დაკვირვება, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და რუბრიკების საფუძველზე. მასწავლებლის თვითშეფასება, პედაგოგის მიერ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი; კოლეგის შეფასება: კათედრების ფარგლებში ურთიერთდასწრებების განხორციელება და მათი წერილობითი ანალიზი.

ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კანდიდატების შერჩევის შემდეგ, კომისია წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს შერჩეულ აპლიკანტს შრომით ხელშეკრულებას.

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის ადამიანური რესურსების პოლიტიკა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე, რაც აისახება პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებში. მასწავლებელთა კორპუსის შემთხვევაში, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს **N174/ნ ბრძანებით**. აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის მკაფიო წესებს, რაც გარანტიაა იმისა, რომ თითოეული პედაგოგი ფლობს საგნობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკოლაში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კომპონენტს. სამედიცინო პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ჯანდაცვის მინისტრის **2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებიდან**. ეს სამართლებრივი საფუძველი უზრუნველყოფს სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებასა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობას თანამედროვე სტანდარტებთან. ამასთანავე, სკოლაში სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებული პირებისთვის შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულ თანხვედრაშია მოქმედი თანამშრომლების კვალიფიკაციასთან. სისტემური მიდგომა პერსონალის შერჩევისას აჩვენებს, რომ სკოლა არამხოლოდ ფორმალურად იცავს კანონის მოთხოვნებს, არამედ რეალურად ზრუნავს აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის პროფესიული სტანდარტების მუდმივ შესაბამისობაზე სახელმწიფო რეგულაციებთან.

ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის აყვანის გადაწყვეტილებას იღებს გუნდი (საკონკურსო კომისია), მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს გუნდი (დისციპლინური კომიტეტი) და ა.შ. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესების და კვალიფიკაციის მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება

ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ჩამოყალიბებულია პროფესიული ცოდნის ტრანსფერისა და წარმატებული გამოცდილების აღიარების საინტერესო სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პედაგოგთა უწყვეტ განვითარებაზე. ეს პროცესი ხორციელდება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მექანიზმით, ცოდნის გაზიარება და კოლეგიური მხარდაჭერა, სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მასწავლებლებს შორის იმ სიახლეების გაზიარებას, რომლებსაც ისინი სხვადასხვა ტრენინგებსა თუ კონფერენციებზე ეცნობიან. გამოცდილების გაზიარების ძირითად პლატფორმებს საგნობრივი კათედრები და პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს. პროფესიული ზრდის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად დანერგილია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს, კოლეგებისგან შეითვისონ ეფექტური მეთოდები და მიდგომები. გარდა ამისა, სკოლაში პოპულარულია ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტების დაგეგმვა, რაც ახალი იდეების გენერირებასა და გუნდურ მუშაობას უწყობს ხელს. პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად სკოლა იყენებს აღიარების მრავალფეროვან ფორმებს. სხვადასხვა აქტივობებში განსაკუთრებული წვლილისთვის მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი ჯილდოვდებიან დიპლომებითა და სიგელებით. ფორმალური აღიარების მექანიზმი ასევე მოიცავს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მადლობის გამოცხადებას, რაც დოკუმენტურად ადასტურებს თანამშრომლის დამსახურებას. სკოლა ზრუნავს პედაგოგთა წარმატების საჯაროობაზე. მიღწეული შედეგებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება სოციალურ ქსელებში და სკოლის ოფიციალურ გვერდზე. ეს პრაქტიკა არა მხოლოდ პერსონალის აღიარებას ემსახურება, არამედ ამაღლებს სკოლის ავტორიტეტს და ზრდის მშობელთა ჩართულობასა და ნდობას.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულება;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ ბრძანება ვაკანტური პოზიციის შევსების გამოცხადების და კომისიის შექმნის შესახებ; https://teacherjobs.ge-ზე გამოცხადებული სკოლის ექთნის ვაკანსია;
- ✓ კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრების შესახებ ბრძანება;

- ✓ ურთიერთდასწრების ფორმა;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სადაც განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარებისა და საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელთა საფუძველზე სკოლა დაგეგმავს და განახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. გასაუბრებისას გამიკვეთა, რომ სკოლაში ხდება სამუშაო შეხვედრები ისგ-ის შედგენაზე, პედაგოგთა გამოკითხვა, გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგების ანალიზი, ინდივიდუალური გასაუბრებები.

რჩევა: სასურველია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები გახდეს უფრო დინამიური და დაეფუძნოს ყოველწლიური შეფასების ციკლს, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება კავშირი დადგენილ საჭიროებასა და განხორციელებულ აქტივობას შორის.

ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარება განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, რაც ასევე გაწერილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, გეგმაში ასახულია საჭიროება, საჭიროებაზე რეაგირების შესაბამისი აქტივობები (ტრენინგი, ურთიერთდასწრება და ა.შ) და განხორციელების პერიოდი. პერსონალი ჩართულია პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა სახის ტრენინგებში, მასწავლებლები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით

რჩევა: სკოლამ სასურველია იზრუნოს, რომ პედაგოგთა საჭიროებების გამოვლენის კვლევასა და კოლეგებისთვის უკუკავშირის მიცემას არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი სახე და შეიმუშაოს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების გამოკვეთის ფორმები.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთთანამშრომლობითა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის თანამშრომლებს ინფორმაციის მიწოდებიდან ტექნიკური მხარის მხარდაჭერამდე, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებსა თუ ეროვნულ, რეგიონულ თუ სხვა სახის კონფერენციებში. სკოლის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე სკოლას აქვს გათვალისწინებული თანხა გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარებისთვის. არსებული გარე კონკურსების შესახებ სკოლაში მოსული ინფორმაცია ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომია. სკოლაში წახალისებულია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი, უზრუნველყოფილია საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით.

ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

გარემოსთან ადვილად ადაპტაციის მიზნით სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საადაპტაციო პროცედურებს, რათა წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ქმნის მასწავლებლებისთვის კომფორტულ და კოლეგიალურ გარემოს. მასწავლებლები ერთმანეთს მხარს უჭერენ პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში მოქმედებს წახალისების სხვადასხვა მექანიზმი, სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული თანხა ინიციატივების განსახორციელებლად შიდა საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა - განხორციელებისათვის.

ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის MES 126000269821 ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა;
- ✓ მასწავლებლებს პირად საქმეები;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის დირექტორმა საუბრისას აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება წინა წლების გამოცდილებას. სკოლის მართვაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების თითოეული სტრუქტურული ერთეული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, რაც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და შესაბამისი დოკუმენტაციით. სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, სკოლა მუდმივად აანალიზებს მიღწეულ შედეგებს. ეს გულისხმობს კურიკულუმის რევიზიას და მშობელთა/მოსწავლეთა უკუკავშირის დამუშავებას, რაც უზრუნველყოფს სკოლის მუდმივ პროგრესს. სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს განაწილებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები. პრიორიტეტები და განსახორციელებელი აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ისე სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია სკოლის მისიაზე, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების წევრებზე.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებული და მკაფიოდ არის აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მართვის ციკლი ეფუძნება სისტემურ მიდგომას, სადაც SWOT ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პრიორიტეტები აისახება ყოველწლიურ სამოქმედო გეგმასა და შესაბამის აქტივობებში. მმართველობითი პროცესების გამართულობას უზრუნველყოფს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებული მუშაობა, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტებით, ისე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით. სკოლა გააზრებულად წარმართავს საგანმანათლებლო პროცედურებს, რაც მოიცავს კურიკულუმის შემუშავებას, ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმიზაციას, ფინანსურ მართვასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და შიდა მექანიზმების, შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა, ხელშეკრულებები, აღსრულება სრულ თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. მმართველობითი ერთეულების მიერ შემუშავებული გეგმები და ფუნქციების მკაფიო გადანაწილება ხელს უწყობს სკოლის მისიის ეფექტურ შესრულებასა და ორგანიზაციულ განვითარებას, რაც ქმნის მყარ საფუძველს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის გამჭვირვალე სისტემა. აღნიშნული პროცესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტების შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე, ნებისმიერი შემოსული განცხადება თუ საჩივარი გადის ოფიციალურ რეგისტრაციას სკოლის საქმისწარმოების წესის შესაბამისად. სკოლაში დანერგილია პასუხისმგებლობის დელეგირების პრინციპი — დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობისას საკითხს, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი. საჩივრების განხილვის ეფექტურობას უზრუნველყოფენ შესაბამისი

სტრუქტურული ერთეულები. კერძოდ, სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი მოქმედებენ, როგორც გადაწყვეტილებების გადახედვისა და სამართლიანობის დაცვის გარანტები. გარდა ამისა, სკოლაში პრაქტიკაშია საპრეტენზიო კომისიების შექმნა, რაც პროცესების ობიექტურობას უწყობს ხელს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა აკადემიური ინტერესების დაცვას. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა, რაც მშობლებსა და მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, დასაბუთებული პრეტენზიის შემთხვევაში, გამოიყენონ შეფასების გადახედვის უფლება.

რჩევა: სასურველია სკოლის მართვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სასურველია შემუშავდეს გასაჩივრების დეტალური პროცედურების ამსახველი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს საჩივრის წარდგენის, რეგისტრაციის, განხილვის ვადებსა და პასუხისმგებელპირებს, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას და კონფლიქტების სამართლიან მართვას

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებია: სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მრჩეველთა საბჭო, სათვალთვალო ვიდეოკამერა. სკოლაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლით და მათი ინტერესების დაცვით. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალისა და მშობელთა უფლებები ძირითადად დისციპლინური წარმოების წესთან მიმართებაში, უფლებები უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, სკოლასა და პერსონალს შორის.

ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა ამსახველი დოკუმენტი;
- ✓ სოლის დირექტორის ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმმადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“;
- ✓ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმმადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 27/10/2025 ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მართვის პროცესებში მათი ჩართულობის სხვადასხვა პლატფორმა. ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება აქტიურად იყენებს როგორც მატერიალურ (საინფორმაციო დაფა), ისე ციფრულ რესურსებს (სოციალური ქსელი, ელექტრონული ჟურნალი, eflow და ელექტრონული ფოსტა). აღნიშნული არხები უზრუნველყოფს მშობლებისა და პერსონალის მუდმივ ინფორმირებულობას სკოლაში მიმდინარე სიახლეების, აკადემიური შედეგებისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესახებ. თუმცა, მხოლოდ ინფორმირება არ ნიშნავს სრულფასოვან ჩართულობას. გასაუბრებითა და დოკუმენტაციის მიმოხილვით დგინდება, რომ სკოლა უკუკავშირის მისაღებად იყენებს მშობელთა კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ჰქონდეს გააზრებული ამ უკუკავშირის დამუშავებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი. კერძოდ, რამდენად აისახება მშობელთა ან მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები სკოლის

სამოქმედო გეგმაში ან ყოველდღიურ საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაცია ორმხრივია, სასურველია სკოლამ მეტად მოახდინოს უკუკავშირის ფორმალიზება მაგალითად, პერიოდული გამოკითხვების გზით, რათა რეაგირების პროცესი იყოს უფრო სისტემური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული.

ინდიკატორი 3.3.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრთა მონაწილეობა მართვის პროცესებში, რაც რეალიზებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებით. მმართველობის დემოკრატიული პრინციპების დაცვის მიზნით, სკოლაში მოქმედებს კოლეგიური ორგანოები, სადაც წარმოდგენილია ყველა დაინტერესებული მხარე, სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში - სამეურვეო საბჭოში — პროპორციულად არის წარმოდგენილი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი (პედაგოგები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლე). დოკუმენტური რევიზიითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ბიუჯეტის განხილვაში, სტრატეგიული გეგმების დამტკიცებასა და მართვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა ჩართულობას აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პარალელურად, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების ორგანიზებაში. დისციპლინური კომიტეტის მუშაობა, რომელიც ეფუძნება თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, საშუალებას აძლევს საზოგადოების წევრებს, ჩართულნი იყვნენ სასკოლო წესრიგისა და ეთიკური ნორმების დაცვის მონიტორინგში.

ინდიკატორი 3.3.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ პედსაბჭოს ოქმი N1;
- ✓ მშობელთა კრების ოქმი N1;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1;
- ✓ თვითმმართველობის ოქმი N1;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლა ცდილობს დაიცვას სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი", რომელშიც გაწერილია ის რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სკოლაში უსაფრთხოების დასაცავად. სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგდოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი", რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

სკოლას დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის 2-43 [1] ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ,,სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი". სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისშივე იქნა შემუშავებული მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკი საგაკვეთილო პერიოდში, რომელიც გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილას და მასწავლებლები ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. სკოლას ყავს 2 დარაჯი, რომლებიც მორიგეობით უზრუნველყოფენ სკოლის შენობისა და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებაზე მონიტორინგს. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ექვსი ცეცხლმაქრით, რომლებიც განლაგებულია კიბის უჯრედებზე და სახანძრო დაფებზე. სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელიც ასევე სპეციალურ დაფაზეა განთავსებული. სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორია შემოღობილია მავთულის ბადით. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) . გარდა ამისა სკოლაში წესრიგის დაცვის და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად აქტიურად კონტროლდება თამბაქოს მოხმარების საკითხი. სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი, რომელსაც აქვს კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლის ექიმი მეთვალყურეობას უწევს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობას, მონაცემებს ასახვს სპეციალურ ჟურნალში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შენობის გათბობა ხდება შეშის ღუმელების საშუალებით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრებისას აღინიშნა სკოლა ჩასმულია გაზიფიცირების პროგრამაში. სკოლამ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით უკვე წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი გეგმის შეტანხმების შესახებ N MIA 9 26 0194337 04/06/2026; საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა სკოლის გვერდით არსებული, ცალკე მდგომი სპორტდარბაზის ტექნიკური მდგომარეობა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, შესაბამისად სკოლა აღნიშნულ ნაგებობას სასწავლო მიზნებისთვის არ იყენებს.

ინდიკატორი 3.4.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, კარადები, მედიკამენტების კარადა, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას მოსწავლეებსა და სკოლის თანამშრომლებს, რომელსაც აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების გამოძახებაც.

ინდიკატორი 3.4.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლა აღჭურვილია სათვალთვალო ვიდეოკამერებით, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს (12კამერა) , უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს და აღრიცხავს უფლებამოსილი პირი. სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 3.4.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, რაშიც მოსწავლეებს დახმარებას უწევს ფსიქოლოგიური სამსახური მანდატურის სამსახური მოსწავლეთა რეფერირების საშუალებით. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სკოლის უფლება-მოვალეობები ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულის ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის პროცესი და კონფიდენციალობის დაცვის მექანიზმები. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და დამხმარე სპეციალისტები (ასისტენტი და ფსიქოლოგი). სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას

ინდიკატორი 3.4.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 2 დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებებით, რათა მოხდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. სკოლა ფლობს ჰიგიენური საშუალებების მარაგებს. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავესაც, ათავისუფლებს ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია.

ინდიკატორი 3.4.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მოცემების დაცვაზე. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური

მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციითა და ახალი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სკოლაში ვიდეოთვალთვალის სისტემის მართვა და პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები მოყვანილია სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში. დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზის საპასუხოდ, სკოლამ ვიდეოკამერების ჩანაწერების მონიტორი და მართვის პულტი დირექტორის სამუშაო ოთახიდან გადაიტანა და განათავსა ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ იზოლირებულ სივრცეში, რომელიც მუდმივად იკეტება. წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და შიდა რეგულაციებით დასტურდება, რომ აღნიშნულ ოთახში შესვლა და ვიდეოჩანაწერებზე წვდომა მკაცრად არის შეზღუდული გარეშე თუ არაუფლებამოსილ პირთათვის და მასზე წვდომა გააჩნია მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე სკოლის მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს. ამით სრულად არის დაცული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპი, რაც გამორიცხავს გარეშე პირთა ყოველგვარ ვიზუალურ თუ ფიზიკურ კონტაქტს ვიდეომასალებთან.

ინდიკატორი 3.4.1.6. სტანდარტი შესაბამისობაშია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მოცემების დაცვაზე. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში.

ინდიკატორი 3.4.1.7. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის **ინდიკატორი 3.4.1.8. სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი ;
- ✓ მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა;
- ✓ ექიმის დანიშვნის ბრძანება;
- ✓ უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ✓ თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესი;
- ✓ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ✓ ბავშვთა მიმართა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები;
- ✓ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ფსიქოლოგის დანიშვნა;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამები;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას გააჩნია ერთი შენობა-ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო რესურსებით. შენობა არის ორსართულიანი, რომელიც მდებარეობს 15858 კვ . მ. მიწის ფართზე. სკოლა ექსპლუატაციაში შევიდა 1990 წელს. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 6 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები, რომლითაც სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ისე სკოლის თანამშრომლები. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია 5 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლაში სულ სწავლობს 77 მოსწავლე. სკოლაში მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის გათბობა ხდება შეშის ღუმელებით. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კაბინეტი , რომელშიც განთავსებულია 6 კომპიუტერი და 1 პროექტორი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით და WI-FI მხარდაჭერით. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს ციფრული განვითარების გეგმა და გააძლიეროს ინტერნეტის ხარისხი დამხმარე ადაპტერებით. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი საფეხურის მოსწავლისთვის საჭირო ინდივიდუალური მერხები. სკოლას სულ აქვს 90 მერხი და სკამი. სკოლას ავტორიზაცია მოთხოვნილი აქვს 240 მოსწავლეზე, თუმცა მოსწავლეთა რაოდენობის მატების შემთხვევაში სამინისტროს მიმართავს კორესპონდენციით და მოითხოვს დამატებით ინვენტარს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების გარდა სკოლას აქვს 10 კომპიუტერი და 3 მრავალფუნქციური პრინტერი, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სკოლის მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია

ინდივიდუალური სასკოლო დაფით. ამჟამად სკოლაში არის 12 ერთეული დაფა. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მდებარეობს სკოლის ეზოში. სკოლის ეზოში ცალკე შენობაში განთავსებულია შიდა სპორტული მოედანი რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას, აღნიშნული საკითხი წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში. სკოლაში არის ლიფტი, რომლის საშუალებითაც ხდება პირველ სართულზე მოსწავლეთა ასვლა.

ინდიკატორი 3.5.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს რეკრეაციული სივრცე, მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ისტ. ან კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე, არამედ ნებისმიერი მასწავლებელისთვის, რომელიც დაგეგმავს გაკვეთილს ისე, რომ საჭიროებას მოითხოვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტი შესაბამისობაშია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ბიბლიოთეკა მდებარეობს მე-2 სართულზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც სასწავლო სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული ლიტერატურა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას საშტატო ნუსხით განსაზღვრული აქვს ბიბლიოთეკის შტატი. ბიბლიოთაკაში არის კომპიუტერი, რომლის გამოყენებაც შუძლიათ მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში. მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ აღნიშნული ბიბლიოთეკით. ასევე ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება. სკოლაში მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო ფონდის სისტემატიზაციისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების

პროცესი. იდენტიფიცირებული იყო წიგნადი ფონდის არასწორი აღრიცხვისა და საინვენტარო ნომრების აცდენის შემთხვევები.დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წიგნადი ფონდის არასწორ აღრიცხვასა და საინვენტარო ნომრების აცდენას, სკოლა სრულად ეთანხმება ექსპერტთა მიგნებებს. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისა და საბიბლიოთეკო ფონდის სისტემატიზაციის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2026 წლის სექტემბერი.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის სექტემბრამდე სკოლაში არსებული წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და აღრიცხვა

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის მიერ მოსწავლეები უზრუნველყოფილია ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სასწავლო წიგნებით, საგნობრივი თვალსაჩინოებებით. სკოლა არ არის აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არ აქვს გარე ლიფტი. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის რესურსი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, მოსწავლეები სრულად და თანაბრად არიან უზრუნველყოფილი ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და საგნობრივი თვალსაჩინოებებით. სკოლაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილი.

რაც შეეხება დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზს შენობის სრულ ხელმისაწვდომობასთან (გარე ლიფტის არქონასთან) დაკავშირებით, სკოლა იზიარებს მიგნებას და აღნიშნული საკითხი ასახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. გარდა ამისა, პრობლემის დროული და კოორდინირებული მოგვარების მიზნით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ოფიციალური კორესპონდენცია, რომლითაც სკოლამ ინფრასტრუქტურული ხელშეწყობის თაობაზე უკვე მიმართა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა (N 659931 02.06.2026) და ხონის მუნიციპალიტეტის მერიას (N 676617 03.06.2026).

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (2027 წლის მაისი) სკოლის ინფრასტრუქტურის სრულად მისაწვდომობა და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს შექმნა სკოლის შენობაში, რათა მოხდეს ეტლით მოსარგებლე პირთა თავისუფალ გადაადგილება და სასწავლო რესურსებზე თანაბარ წვდომა სკოლის მთელ პერიმეტრზე

ინდიკატორი 3.5.1.4. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა სკოლის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების დანერგვა. სოციო–კულტურული თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებითი ფსიქოლოგიური და ემოციური განწყობის შექმნას. სკოლა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ღონისძიებებსა და ტურნირებში რაიონულ და რეგიონულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას სასკოლო საზოგადოება ყოველდღიურად ზრუნავს სკოლის იერის შენარჩენებაზე და შესაბამისად შექმნილია მიმზიდველი გარემო. სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ: ,,დედაენის დღე“, ,, ანბანთქება“ , ,,აყვავებული ნაკვალევი“, ,,ოქროსფერი შემოდგომა მათეს მარანში“, ,, ჩემი თვალით დანახული გალაქტიონი“, ,,ძველი ნითების ახალ სიცოცხლე“, ,,ვიცი ჩემი უფლებები, პატივს ვცემ სხვისას“, ,, ხიდები ერთმანეთისკენ“ საბუნებისმეტყველო და მათემატიკის ერთობივი პროექტი ,, ფიბონაჩის საიდუმლო ბუნებაში, ,, დედამიწა ჩვენი სახლია“ .

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ შენობა-ნაგებობის სქემა;
- ✓ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;

- ✓ სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- ✓ საინვენტარიზაციო უწყისი;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. გარდა ამისა კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ასევე სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული

ლაბორატორიით. სკოლაში არის 8 მოქმედი პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 6 პერსონალური კომპიუტერი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 2 პროექტორით, 3 პრინტერ-სკანერის აპარატით. სკოლის ტერიტორია ნაწილობრივ დაფარულია ინტერნეტით.

ინდიკატორი 3.6.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის. სამასწავლებლოში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერებზე წვდომა შესაძლებელია მასწავლებლებისათვის. კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერებით სარგებლობა შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. სკოლის დაწყებითი საფეხურის დამრიგებლებს დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვთ სასკოლო ბუკები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მიღება-ჩაბარება ბუკის;
- ✓ კომპიუტერებისა და პროექტორის შესყიდვის დოკუმენტაცია
- ✓ სკოლის მატერიალურ რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სკოლა აქტიურად იყენებს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვასა და საქმისწარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eFlow). მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები ასახულია eschool–ის ბაზაში. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელშიც შეტანილია ყველა საჭირო ინფორმაცია მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ. ასევე ბაზაში ასახულია მონაცემები კლასების, მასწავლებელთა სტატუსების და სხვა შესახებ. შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი. პროფილის განახლება სკოლის მიერ ხდება საჭიროებების შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელ ყველა უწყებას ინფორმაციას. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სრულყოფილ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, რომელშიც ფინანსურ საკითხებთან ერთად აქცენტები კეთდება სასწავლო პროცესზე. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს

საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საქმისწარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ eSchool-ის, eflow-სა და outlook-ის წარმოების ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგებისათვის შექმნილი აქვს სკოლის სოციალური გვერდი. ყველა სიახლე და დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. სკოლაში მოწყობილია საინფორმაციო სივრცეები კორიდორებში. მშობლების ინფორმირებისთვის იყენებს ელ.ჟურნალს, ასევე სოც ქსელებს. სკოლა რეგულარულად უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ვებ გვერდზე (http://skolebi.emis.ge) შესაბამისი გვერდის, სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალურ ქსელში შექმნილი საკომუნიკაციო ჯგუფებისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით

ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალურ ქსელსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო სერვისებისა და სკოლაში განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაციების განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესაბამისად სკოლაში განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით გადაღებული სურათების და ვიდეოჩანაწერების (მაგ.: სასწავლო/სპორტული ღონისძიებების, სპექტაკლების და მსგავსი ტიპის სხვა აქტივობებისას გადაღებული კადრები) სასკოლო-სასწავლო მიზნებისთვის განთავსება/გაზიარებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ნებისმიერი საშუალებით მიღებულ უკუკავშირს განიხილავს და აანალიზებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ უკუკავშირის მიხედვით რაიმეს შეცვლა, ვითვალისწინებთ მოქმედ კანონმდებლობას და ჩვენს ფიზიკურ შესაძლებლობებს, ვცვლით დამოკიდებულებას, რათა დავაკმაყოფილოთ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები

ინდიკატორი 3.6.3.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია თავსდება ქართულ ენაზე .

ინდიკატორი 3.6.3.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული აქვს შემდეგი ინფორმაცია:

- მისია, ხედვა, ღირებულებები,
- სკოლის სტრუქტურა;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ინდიკატორი 3.6.3.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სოციალური გვერდი;
- ✓ სკოლის ვებგვერდის ლინკი;
- ✓ სოციალურ ქსელსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო სერვისებისა და სკოლაში განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაციების განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ბრძანება
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სამეურვეო საბჭოს სკოლის დირექტორის წარდგინებით დამტკიცებული აქვს სკოლის ბიუჯეტი. სამეურვეო საბჭოსთან წარდგენამდე სკოლის დირექტორი შეიმუშავებს ბიუჯეტს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების და საჭიროების გათვალისწინებით სკოლის ბუღალტერთან ერთად. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. სკოლას დღეის მდგომარეობით აქვს ვაუჩერული დაფინანსება. ეკონომიური შემოსავლები არ გააჩნია. არ აქვს იჯარით გაცემული არც ერთი ფართი. სკოლის ბიუჯეტი გათვლილია მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე, კომუნალურ გადასახადებზე, საკანცელარიო ხარჯებზე, ჰიგიენურ პროდუქციაზე და სხვა. მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარ ანგარიშზე ვაუჩერული დანაზოგი, რომელსაც იყენებს წლების მანძილზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების, სასკოლო აქტივობების განხორციელებისა და პროფესიული განვითარებისათვის.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება სამეურვეო საბჭოს თანხმობით. სკოლის შესყიდვის წლიურ გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით და ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი

სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ. სკოლა ცდილობს სწორად გადაანაწილოს, გააანალიზოს მომდევნო წელში დასახარჯი თანხები.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი;
- ✓ შესყიდვების გეგმა/დამტკიცების ბრძანება;
- ✓ ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმიN7;
- ✓ შესყიდვის ხელშეკრულება;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ თვითშეფასების კითხვარში ასევე გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესი ეფუძნება კანონს „ზოგადი განათლების შესახებ". დოკუმენტით გარანტირებულია მოსწავლეთა ჩართულობა მართვაში, თვითმმართველობის წარმომადგენლობა სამეურვეო საბჭოში, ბიუჯეტის განხილვასა და ანგარიშგების პროცესში.
სკოლაში მოქმედებს დისციპლინური წარმოების, ასევე განცხადებისა და საჩივრის განხილვის მკაფიო მექანიზმები. დოკუმენტურად განსაზღვრულია სემესტრული შეფასებებისა და დისციპლინური გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, ვადები 2 კვირა და უფლებამოსილი ორგანოები (სამეურვეო საბჭო/კომისია), რაც სრულად უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის კანონიერი ინტერესების დაცვას.

ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შინაგანაწესი. შინაგანაწესსა და მასში განხორციელებულ ცვლილებებს დამრიგებლები განიხილავენ მშობელთა კრებებზე. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლემ, მშობელმა, მასწავლებელმა იციან უფლების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურები. ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სხვადასხვა ხერხით. დაინტერესებული მხარეებისათვის ცნობილია მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის, და სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლეების შეფასების წესი და ისგ შექმნის რეგულაციები. გასაჩივრების პროცედურები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე htpp://skolebi.emis.ge

ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი მუხლები, რომლებიც იცავს მოსწავლის მიერ განათლების მიღების და უსაფრთხო გარემოში სწავლის პროცესს. დოკუმენტი კანონის ფარგლებში არეგულირებს ურთიერთობას მოსწავლესა და სკოლას შორის. ხელშეკრულებები ინახება მოსწავლეთა პირად საქმეებში.

ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბრის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 17 მარტი MES 6 26 0000443273 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი“;
- ✓ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ✓ ფოტომასალა;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების საფუძველზე. საფეხურის დაძლევის წესი განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 20 მაისის MES 3 25 0000718348 ბრძანებით. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება აგრეთვე მობილობის წესიც. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლე დადგენილი წესით რეგისტრაციას გადის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ ირიცხება სკოლაში. სკოლაში გამოიცემა ბრძანებები მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და მათი აკადემიური მოსწრების აღიარებაზე

ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის პროცედურები. აღნიშნული ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eflow) წარმოების წესის შესაბამისად. სკოლა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვას. მოსწავლეთა მიერ კლასის დაძლევა აისახება eschool- ის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

გაასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა თავისი გადაწყვეტილებების დროს არის ღია საკომუნიკაციოდ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლას აქვს სხვადასხვა მიმართულების კლუბების ფუნქციონირების

გამოცდილება (,,ეკოკლუბი,,ლიტერატურული კლუბი და ა.შ). მშობელი/დაინტერესებული პირი ნებისმიერ დროს იღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ. გავრცელებული-გაზიარებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლას დამატებითი ფასიანი მომსახურება არ აქვს.
ინდიკატორი 4.1.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელებაა. ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების მიერ საჭიროებისამებრ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ზემოთ მოცემული სხვადასხვა საკითხის შესახებ.
ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ.
- ✓ ბრძანებასაჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- ✓ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- ✓ სკოლის დირექტორის 2025წლის 29 მაისის MES 2250000597559 ბრძანება პირველი კლასის მოსწავლეების მეორე კლასში გადაყვანასთან დაკავშირებით.
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ- ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო, კეთილმოწყობილი და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, მოწყობილია გარე სპორტული მოედანი. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის 2020 წლის 17 დეკემბრის 2-58 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილი აქვს თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლის ახალ გარემოში ადაპტაციაზე და როგორ უნდა შეუწყოს სკოლამ ხელი, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს ადაპტაცია. დოკუმენტში ცალკე საკითხებადაა გამოყოფილი პირველკლასელთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის წესი.

სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი, უსაფრთხო და ინკლუზიური სასკოლო გარემო მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისთვის შექმნილია მეგობრული და მშვიდი გარემო . სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებაზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლებელი გეგმის მოდიფიკაცია. სასწავლო გარემოში მოსწავლეთა ეფექტური ადაპტაციისათვის სკოლის დირექცია და დამრიგებლები ახორციელებენ საჭირო აქტივობებს. მაგ: პირველ კლასელებისთვის დამრიგებლები აწყობენ ექსკურსიას სკოლის სივრცეში, რათა მათთვის სკოლის გარემო უცხო არ იყოს. სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაშია დამკვიდრებული, რაც ხელს უწყობს მის კლასთან ინტეგრაციას. მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში განლაგებულია მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი მერხები, საკლასო გარემო და დამატებითი სივრცეები ხელს უწყობენ მოსწავლეთა კომუნიკაციას ერთმანეთთან.

ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლე მუდმივად უწევს სათანადო კონსულტაციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ეხმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენეენს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, მასწავლებლის ზეპირ თუ წერილობით უკუკავშირს, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, სადაც მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ საშუალება ნახონ მოსწავლეების აკადემიური შედეგები. სკოლას ასევე გააჩნია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები. მშობლები დამრიგებლის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ, კვირის ყოველ პარასკევს არის მშობელთა მიღების დღე. ინფორმაციის გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. მოსწავლისათვის სირთულის

აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებელი სკოლაშივე გამოყოფილია დამატებითი დრო მეცადინეობისათვის. სკოლაში, პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. ამ მიზნით შემუშავებულია საკონსულტაციო მომსახურება და რემედიაცია. ეს არის მიზანმიმართული სასწავლო მხარდაჭერა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც კონკრეტულ საგნობრივ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ და შესაბამისად, აკადემიური მოთხოვნების (სტანდარტების) სრულად მიღწევის რისკის ქვეშ არიან.

ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას საჭიროებისამებრ და ავლენს დროულ რეაგირებს განცხადებებზე. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდის დანიშვნა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინარული წარმოების წესი და სახეები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის , გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის . სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრავს პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში.

ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა მუდმივად ახორციელებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას და უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების წახალისებას. აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით წარმატებული დამკვიდრებული პრაქტიკა. სკოლაში მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის კლუბები(ეკოკლუბი, მკითხველთა

კლუბი, სპორტული). მოსწავლეთა ინიციატივის შემთხვევაში დაემატება სხვა კლუბებიც მათი საჭიროების გათვალისწინებით. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს სასკოლო ექსკურსიების თაობაზეც და სასკოლო ექსკურსიების საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით გეგმავს და აორგანიზებს ექსკურსიას.

ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად პირისპირ შეხვედრებზე, ასევე წერილობით. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. სკოლაში მოსწავლეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლა სისტემატურად იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებიდან შემდეგი მეთოდებით: ხარისხის მართვის ჯგუფის დასწრება გაკვეთილებზე და შესამისი უკუკავშირი; შემაჯამებლის ანალიზი; კათედრების ხელმძღვანელების, კლასის დამრიგებლების ანგარიშები. ზემოხსენებული ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. გარდა ამისა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება კლასებიდან შემოსული წინადადებების განხილვა. მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებენ ძირითადად ზეპირსიტყვიერად. თვითმმართელობის მოსწავლეებმა კლასებში გამოიკითხეს და დირექციას მიაწოდეს მათი სურვილები და სკოლა გაითვალისწინებს სამომავლოდ.

რჩევა: სკოლამ სასურველია დანერგოს უკუკავშირის მიღების უფრო ფორმალიზებული და ანონიმური მექანიზმები, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები და მშობლები მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული ცვლილებები განხორციელდა სკოლაში მათი რეკომენდაციების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კლასში რიცხოვნობის განსაზღვრის ბრძანება;
- ✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ✓ პირველი კლასის სადამრიგებლო გეგმა;

- ✓ რემედიაციის წესი;
- ✓ კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება;
- ✓ საშუალო სფეხურის და დაძლევის და ამორიცხვის ბრძანება;
- ✓ თვითმმართველობის ოქმი კლუბებზე;
- ✓ ექსკურსიის ბრძანება
- ✓ გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საათობრივ ბადეში არ აქვს გათვალისწინებული მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები, დაწესებულება პერიოდულად აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს. სკოლას აქვს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმი. სკოლას აქვს პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს პრაქტიკა მოიწვიოს მოსწავლეებთან შესახვედრად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც მოსწავლეებთან ატარებდნენ საუბრებს პროფესიის არჩევაზე.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა პროფესიული თვითგამორკვევისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ეფექტურობის ამაღლების მიზნით ამ მიმართულებით არსებული პოზიტიური პრაქტიკის (მოწვეული სტუმრები, მემორანდუმები) სისტემატიზაცია და გაფართოება.

ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა სისტემატურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და პროფესიულ სასწავლებელში დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ. საბაზო და საშუალო საფეხურის დამამათავრებელ კლასებში დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, რომ გაითვალისწინოს ,,კლასის საათის— ფარგლებში გამოვლენილი მოსწავლეთა საჭიროებები და მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად

ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სადამრიგებლო პროგრამა IX კლასი;
- ✓ კლასის საათის ოქმი;
- ✓ მემორანდუმი კოლეჯ ,, იბერიასთან“ 20 მარტი 2018წ
- ✓ მემორამდუმი ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 2021 წლის 25 მარტი
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი თავი ეხება ინკლუზიურ განათლებას, სადაც სკოლა საუბრობს სპეციალური საგანმანანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე, ინდივიდუალურ გეგმაზე და ისგ ჯგუფზე. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი (ისგ) ჯგუფი, რომელის მუშაობა წარიმართება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში წარმოებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მყარი მექანიზმი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დროული იდენტიფიცირებისა და მათი შემდგომი მხარდაჭერისთვის.

პროცესი იწყება საგნის მასწავლებლის მიერ სირთულის შემჩნევით, რომელიც ატყობინებს დამრიგებელს, სპეციალურ მასწავლებელსა და დირექციას. სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მშობლის როლს — ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს ერთობლივ შეხვედრას, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა. მშობლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სპეციალისტების ჯგუფი 10 სამუშაო დღის ვადაში კომპლექსურად აფასებს მოსწავლის აკადემიურ, კოგნიტურ, სოციალურ და ფუნქციურ უნარებს, რის შემდეგაც მუშავდება პირველადი მართვის რეკომენდაციები.

აღსანიშნავია სკოლის თანმიმდევრული მიდგომა: თუ განხორციელებული ინტერვენციები 1-2 თვის ვადაში არ იძლევა სასურველ შედეგს, დირექცია მიმართავს სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს უფრო ღრმა, ოფიციალური

შეფასებისათვის. ამ პროცესში სკოლა წარადგენს დეტალურ დოკუმენტაციას, რომელიც ასახავს უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და მათ ეფექტურობას.
თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის ბრძანებით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი. ეს ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ იკრიბება, მუდმივად აკონტროლებს სასწავლო პროცესს, განიხილავს მოსწავლის მიღწევებს და საჭიროებისამებრ აახლებს სწავლების სტრატეგიებსა თუ რესურსებს. პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფს სრულფასოვნად აღჭურვილი რესურს-ოთახი, სადაც ადაპტირებული ავეჯი და მრავალფეროვანი განმავითარებელი მასალები (კინეტიკური ქვიშა, ხელნაკეთი რესურსები და სხვ.) ქმნის ოპტიმალურ გარემოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;*
- ✓ *ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;*
- ✓ *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;*
- ✓ *მონიტორინგის ანგარიში;*
- ✓ *ინდივიდუალური გეგმა;*
- ✓ *ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;*
- ✓ *სკოლის მიმართვა;*
- ✓ 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. ამ მომსახურების განხორციელების პროცესში სკოლა მონიტორინგს უწევს მოსწავლეთ გადაადგილებას.

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, მაგრამ მზად არის საჭიროების შემთხვევაში განხორციელოს მომსახურება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით

ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა აცხადებს მზაობას, დამატებითი მომსახურება განხორციელდეს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ტრანსპორტირების პროცესში სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და ითვალისწინებს შესაბამის რეგულაციებს

ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 17 მარტი MES 8 26000442906 ბრძანება სკოლაში მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ✓ მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების ყოველდღიური ტაბელი;
- ✓ მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ყოველთვიური ტაბელი;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☐შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში არსებობს შესაბამისი წესით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმები. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იაზრებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცხადყოფს, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, რაც მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ და მოქალაქეობრივ კომპეტენციებს. კურიკულუმში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, ინდივიდუალური საჭიროებების

გათვალისწინებას, თანამშრომლობასა და კომუნიკაციას, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მასწავლებლები) ინტერესების ინტეგრირებაზე სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, ასევე შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რაც მიუთითებს პროცესში სხვადასხვა სტრუქტურის ჩართულობაზე. კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სწავლა-სწავლების დაგეგმვაზე.თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ იკვეთება მოსწავლეთა და მშობელთა სისტემური ჩართულობის მექანიზმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მშობლებთან თანამშრომლობის მიმართულებით სკოლას გააზრებული აქვს სამომავლო საჭიროება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის პრინციპს, რაც გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სკოლის საქმიანობის შესახებ. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კურიკულუმის გაცნობა ხორციელდება მშობელთა კრებების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან.
სკოლაში შემუშავებული კურიკულუმები ზიარდება და განიხილება საგნობრივ კათედრებზე, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კათედრების ოქმის მტკიცებულებები. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. პედაგოგიური საბჭოს ოქმი
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. საგნობრივი კურიკულუმები;
5. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საფეხუზე ჩანს, რომ შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები,ძირითადი საკითხები იმგვარადაა შერჩეული/დაჯგუფებული, რომ მათი დამუშავება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს, იძლევა დავალების ცალკეული კომპონენტების დიფერენცირების საშუალებას, დავალების კრიტერიუმები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მიემართება ესგ-ს გძელვადიანი მიზნებისკენ. საკითხების დასამუშავებლად მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ცხოვრებისეული/ნაცნობი კონტექსტები, ასევე, მიზნობრივი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი რესურსები შემოქმედებით პროდუქტის შესაქმნელად. დავალების პირობა მოსწავლეებისთვის მკაფიოს ხდის- რა საკითხის შესწავლას ემსახურება დავალება, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან და რა ცოდნა უნდა წარმოაჩინონ საკითხთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ - დაწყებით საფეხურზე, „ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“, „საქართველოს ისტორია“ - საბაზო და საშუალო საფეხურზე) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ძირითადად, წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს, ყველა თემაში სრულად დაიფაროს სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები - მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გაითვალისწინეს ჩემს მიერ გაცემული რეკომენდაციები კურიკულუმებთან დაკავშირებით, ისინი სამომავლოდ აპირებენ კურიკულუმების მეტად დახვეწას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათდრაზე შემუშავებული კურიკულუმები(სამი საფეხურის) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება ესგ. შემუშავებული კურიკულუმი უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის შემოქმედებითობას და ცოდნის სამივე დონის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ენის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი

	სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგმა აღნიშნა, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასში განსაზღვრული სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები, შეფასების პრინციპები მოსწავლეთა ასაკობრივი და განვითარების შესაძლებლობების შესაბამისია. სასწავლო პროცესი დაგეგმილია წინარე ცოდნისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც მიიღწევა ეფექტური სწავლითა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობით. კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მიიღწევა შუალედური მიზნების საშუალებით. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება შემოქმედებითი პროდუქტი მისთვის სასურველ ფორმატში შეასრულოს (ელექტრონული, მატერიალური). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მასთ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, შემოქმედებითი დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმების ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის გააზრებას, ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. **რჩევები:** • ყურადღება მიაქციეთ, რომ კურიკულუმებით უზრუნველყოფილი იყოს ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლა • გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალებები დააფუძნოთ კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზეთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. • გაითვალისწინეთ, კომპლექსური დავალების პირობაში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი პროდუქტის აღწერა. • გაითვალისწინეთ, კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემები ასახეთ და არა სახელმძღვანელოს თემები. (მხოლოდ ქართულში სახელმძღვანელოდან) • დაწყებით საფეხურზე, საგანში „მე და საზოგადოება", სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება (საკითხი/საკითხთა კლასტერი) მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება. • თემები ოთხივე კლასში ჩაწერონ პირველ სვეტში.ასევე სამიზნე ცნება ყველა კლასში გაასწორონ და გადაიტანონ მე-2 სვეტად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, შემოქმედებითი ბუნების დავალებების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებებისკენ,.) პედაგოგენთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობები ემსახურება დავალების კრიტერიუმების თანმიმდევრულ დამუშავებას, დავალების ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს, ხელს უწყობენ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების,შემოქმედებითობის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.ძირითადი საკითხების დამუშავებისთვის განსაზღვრულია საკმარისი დრო. ხოლო მთლიანი თემისთვის დათმობილი დრო შესაბამისია სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვისა და სემესტრული განაწილების. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე

	ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ თემაში შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების სიღრმისეულად დამუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათდრაზე შემუშავებული კურიკულუმები(სამი საფეხურის) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება ესგ. შემუშავებული კურიკულუმი უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის შემოქმედებითობას და ცოდნის სამივე დონის მიღწევას. **რჩევა:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში გაიწეროს რამდენილე თემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვრვითი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ_ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ხდება შუალედური მიზნების შემოქმედებითი ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ პრაქტიკულად თუ თეორიულად გასანხორციელებელ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

	რჩევა: სკოლამ დაწყებითი საფეხურის 4; 5 კლასების კურიკულუმებში მძლეოსნობის და პროექტული სწავლების თემებში შეავსოს კონტექსტ მაგალითის და დავალების პირობის სვეტები. 6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არსებულ მძლეოსნობის თემაში წერია ტექნიკის დახვეწა რაც შეესაბამება საშუალო საფეხურის სტანდარტს. დაწყებით საფეხურს შეესაბამება ტექნიკური ელემენტების შესწავლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმების შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებს, შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულია შუალედური მიზნები და მათი შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორებთან. გარდა ამისა, თითოეული საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა და დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი ჯგუფის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოებში, საკითხის გასწვრივ რესურსების გრაფაში წარმოდგენილი ძირითადი/გრიფირებული სახელმძღვანელო (შესაბამისი გვერდების მითითებით) უზრუნველყოფს ყველა ძირითადი საკითხის დაფარვას. დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი-მატერიალური/ელექტრონული (შესაბამისი წყაროს და ელ.მისამართის მითითებით) არის მიზნობრივი, საკმარისი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი. ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რესურსი: გრიფირებული სახელმძღვანელოები,მოსწავლის რვეულები, აუდი-ვიდეო მასალა, თემატურად შერჩეული დამატებითი რესურსი, და ტექნოლოგიური მოწყობილობები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	ახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. სკოლას ასევე აქვს ინტერაქტიული დაფა, რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა გრაფიკული მოდელებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, ლაშქრობა, პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს -

	იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგნობრივ კურიკულუმებებში ასახულია შესაბამისი რესურსები, რომლებიც მიმართულია ცნებების, შედეგებისა და საკითხების შინაარსის გააზრებაზე. ძირითად საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი - https://school.emis.ge/. და დამატებითი საგანმანათლებლო მატერიალური რესურსი - „გამარჯობა რუბი“, რომლებიც ავსებენ და ამდიდრებენ სასწავლო პროცესს. ასევე ელექტრონული რესურსები:

	https://phet.colorado.edu, www.tinkercad.com, https://www.canva.com/ https://scratch.mit.edu, https://studio.code.org, YouTube, გრაფიკული რედაქტორები Paint, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", , Sway, Powerpoint, Word, , Excel, Microsoft-ის ღრუბლოვანი შენახვის სერვისი One Drive. მათი გამოყენება მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისაკენ. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. რესურსები ძირითადად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებებსა და ინტერესებს. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნებს. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც იყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების/რესურსების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. სკოლის შენობა დაქსელილია ინტერნეტით. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული და მატერიალური რესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა. ეს ყველაფერი უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს და განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი ისგ-ები, წარმოებული დიფერენცირებული დავალებები (სადაც აქტივობა/აქტივობები დიფერენცირებულია მაღალი, საშუალო, დაბალი მზაობის მოსწავლეებისათვის) სასწავლო პროცესში ორგანიზების სხვდასხვა ფორმის გამოყენების პრაქტიკა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილები,), მოსწავლეთათვის თავისუფლების მიცემა აირჩიონ -პროდუქტის ფორმა (პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა.შ) წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი, ელექტრონული, მატერიალური) ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ სასწავლო ტემპს და ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება.
უცხოური ენები	პედაგოგებს აქვთ მზაობა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების დანერგვისა და გამოყენებისა სასწავლო პროცესში. ამაზე მეტყველებს მათ მიერ გადმოგზავნილი

	ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და დავალების ნიმუშები, რომლებიც ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები, ისგ-ბი და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს,რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **რჩევა:** სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. ასევე რემედიაციის მიდგომების განხორციელება სასწავლო საგაკვეთილო სივრცეში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს. დოკუმენტაციისა და ინტერვიურების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსმ მოსწავლე. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებებზე დაყრდნობით, კომპიუტერული ტექნოლოგიების I–VI კლასების კურიკულუმების განხილვა აჩვენებს, რომ მათი სტრუქტურა და კონცეფცია ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მოიცავს ერთსა და იმავე ცნებაზე მორგებული დავალებების მრავალფეროვნებას, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული შესაძლებლობებისა და სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების ჩართულობას. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიურად და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. შუალედური მიზნების მიღწევა ხორციელდება შემოქმედებითი დავალებებით, რომლებიც

	მოსწავლეებს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას და საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება. მასწავლებლები აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და საჭიროების შემთხვევაში ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი. სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან საუბრისას ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა, იგეგმება დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ქონდათ კათედრაზე შემუშავებული დიფერენცირებული დავალებები ოთხივე საგანში. რომელიც გამოიყენეს საჭიროებისამებრ. მათი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას, გათვალისწინებული რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. აქვთ ისგ გეგმები ოთხივე საგანში. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით.ასევე, კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში და ასევე მიღწევის დონეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში. მოიცავს მკაფიო კრიტერიუმებს, რაც მნიშვნელოვანია შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, სამართლიანობისა და ვალიდურობისთვის, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას.პედაგოგებმ ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მნიშვნელობას,ფიქრობენ განახორციელონ სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საჭიროებების ზუსტ და დროულ განსაზღვრას შესაბამისი რელევანტური ღონისძიებების დასაგეგმად და ასამოქმედებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს, როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე,

	მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. შემოქმედებითი ტიპის დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ჯერ არ ტარდება. თუმცა, გასულ სასწავლო წელს, მხოლოდ საგან „გეოგრაფიაში“ და მხოლოდ მე-8 კლასში, სცადეს სასკოლო ტესტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან ჩანს რომ მოსწავლის შეფასება მეტწილად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და განმავითარებელი შეფასების ნიმუშებიდან ჩანს,რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** საგან მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოითხოვს კორექციას, რათა სრულად მიემართებოდეს ესგ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ

	შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. რჩევა: სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებით და უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემების მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

	მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ითვალისწინებს შეფასების ტიპებსა და შესაბამის კომპონენტებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი დავალებების შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. მათ შორისაა შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა, თვითშეფასება, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში გამოყენებული შეფასების მასალები. მასწავლებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის გააზრებასა და განვითარების დინამიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. აღნიშნეს, რომ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული

	რუბრიკების შექმნას სხვადასხვა აქტივობისთვის. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დანართი N83-კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N1-სასკოლო სასწავლო გეგმა (2025–2026წ);

სკოლის თვითშეფასების ფორმა;

აგნობრივი კურიკულუმები-სამივე საფეხური

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები

დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები

ისგ-ები

ეფასბის რუბრიკები

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- ✓ სამივე საფეხურის კურიკულუმები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ შეფასების სქემები
- ✓ ისგ ნიმუში: 9კლ „გეოგრაფია“
- ✓ დიფერენცირებული დავალების ნიმუში: მე-3 კლ. „მე და საზოგადოება“
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ ოსწავლეთა ნამუშევრები

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- ✓ დანართი N83-კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ დანართი N85 - დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმები;
- ✓ დანართი N1-სასკოლო სასწავლო გეგმა (2025–2026წ);
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ დანართი N16 - მათემატიკისა კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის სამოქმედო გეგმა 2025-2026წ;
- ✓ დანართი N17-შემოქმედებითი დავალებები;
- ✓ დანართი N20-განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები და გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა-** წლის ბოლოს განხორციელდეს კურიკულუმის რევიზია და გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე ცვლილებები აისახოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. ინტერვიუს დროს, კათედრის ყველაზე გამოცდილმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ კურიკულუმებში ბევრად მეტი დავალებაა და იქიდან მხოლოდ ნაწილს ირჩევენ.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების ემთხვევაში ხდება კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება, გამრავალფეროვნება ან ადაპტირება. პედაგოგები ახორციელებენ ძალიან როგორც შიდა სასკოლო , ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა კათედრებთან ინტეგრირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი წარიმართა წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო მიზნების, რესურსების, შემოქმედებითი ტიპის დავალებების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე

	მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებს, აქტივობებს და დიფერენცირებულ დავალებებს. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც კურიკულუმთან შესაბამისობას ადასტურებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებების ბარათები, და მათი განხორციელების ეტაპები, კათედრის ოქმი, სამოქმედო გეგმა, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნის საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ

	მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** ამ დროისათვის სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის ავარიული მდგომარეობის გათვალისწინებით სასურველია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მეტი თეორიულად შესასწავლი თემები პროექტული სწავლების გათვალისწინებით.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნის მკაფიო გეგმა და მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება კათედრების, დამრიგებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ საჭიროებებს. სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები, შედეგები და აქტივობები როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე თანმიმდევრულად არის გათვალისწინებული. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხებს შორის. ეს უზრუნველყოფილია ერთის მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმებით, მეორე მხრივ რეალიზებული შემოქმედებითი დავალებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს გამოცდილება წარმართონ სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ოთხივე საგანის მასწავლებელმა ისაუბრა შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე. **რჩევა:** სკოლას მივეცი რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სასწავლო პროცესის განხორციელებისას სკოლა ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სასწავლო აქტივობების, მეთოდებისა და სტრატეგიების ადაპტირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრინციპი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა საჭიროებებს ადგენს მშობლებთან აქტიური კომუნიკაციითა და მათთან შეხვედრების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება
დაგეგმილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ან ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს
კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეებისთვის მკაფიოა რა ცოდნის და უნარების წარმოჩინებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტების,შ ეფასების კრიტერიუმებისა და ნიშნების დაანგარიშების წესის შესახებ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში, რუბრიკები მოიცავს მკაფიო და საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევ შედეგებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უმეტესწილად შეესაბამება ესგ მიზნებს. სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	როგორც წარმოდგენილი მასალით ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები ერთობლივად შემუშავებულია კათედრებზე, კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რაც მათ ვალიდურობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უმეტესწილად შეესაბამება ესგ მიზნებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. **რჩევა:** სასურველია შეფასების ფორმები გაიწეროს კონკრეტულ დავალებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტირებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	მასწავლებელი გაკვეთილის წარმართვის დროს აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასებას-სიტყვიერ კომენტარს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელისვც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, პროცესს და მოთხოვნებს, რაც მათ ეხმარება სწავლის სწორად დაგეგმვაში. შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებს, უზრუნველყოფს სანდოობასა და დასაბუთებულობას. პროცესი ორგანიზებულია სამართლიანად — ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი პირობები და შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი მიღწევები. შეფასება ობიექტურია და ერთნაირი შედეგი ერთნაირად ფასდება. გამოიყენება სხვადასხვა ტიპის (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება და მრავალ წყაროზე დაფუძნებული მიდგომა, ასევე პრაქტიკაშია ურთიერთდასწრება, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება. სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკაში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. **რჩევა:** სასურველია ყველა თემისთვის შექმნათ განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

   სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობისა და ობიექტურობის კონტროლს და მიღებული შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სისტემურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების ამსახველი ინფორმაცია ინახება როგორც მატერიალური სახით (მოსწავლეთა პირადი საქმეები), ასევე ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი), რაც უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობასა და მოძიების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე
- შემოქმედებითი დავალების ნაშრომები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის ანგარიში და წლიური სამუშაო გეგმა;
- კათედრის ოქმი და დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი;
- ისგ ადაპტირებული დავალებებით;
- შემაჯამებლის ანალიზი
- საგნობრივი კურიკულუმი;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

.

- ✓ სამივე საფეხურის კურიკულუმები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ შეფასების სქემები
- ✓ მოსწავლეთა ნამუშევრები

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- ✓ დანართი N83-კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ დანართი N85 - დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმები;

- ✓ დანართი N17 - მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ოქმი - „I სემეტრის შეჯამება და მოსწავლეთა შედეგების განხილვა“;
- ✓ შემოქმედებითი დავალებები პირობებითა და შეფასების რუბრიკებით-განმავითარებელი და განმსაზღვრელი(II,III,IV,V,VI კლასები);
- ✓ დანართი N18-მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა;
- ✓ დანართი N19-შემოქმედებითი დავალებები(scratch, ცხრილები,word,პოსტერი,პირობითი ნიშნები);
- ✓ დანართი N20 - შეფასების რუბრიკები II-VI კლასები;
- ✓ დანართი N21 - მოსწავლეთა ნამუშევრები და შემაჯამებელი დავალებები(Power Point -V-VI კლასები), word-V კლასი, Excel-VI კლასი;
- ✓ დანართი N1-სასკოლო სასწავლო გეგმა (2025–2026);
- ✓ დანართი N87 - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება დაგეგმილი, კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები,

	სასწავლო რუკები, გლობუსი, კომპასი, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავის და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ძირითად რესურსს გრიფირებული სახელძღვანელოები და სამუშაო რვეულები წარმოადგენს. აქტიურად იყენებენ დამხმარე ვიდეო-აუდიო მასალას,თვალსაჩინოებებს და ტექნოლოგიებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

	მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა**: ყველა საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. ასევე სასურველია რესურსების მრავალფეროვნება მორგებული თითოეულ საკითხსა თუ თემაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	არსებულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. ოგორც გასაუბრებიდან გაირკვა მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგანმანათლებლო საიტს math.ge_ს, სადაც მრავალფეროვანი დამხმარე მასალებია განთავსებული და მუდმივად ემატება სიახლეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებს სკოლის მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებელი ქმნის ერთგვარ ბაკს და ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა კურიკულუმები და ნერგავს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია: ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი - https://school.emis.ge/ და ასევე სხვა ელექტრონული

	პლატფორმები: (https://phet.colorado.edu, www.tinkercad.com, https://www.canva.com/ https://scratch.mit.edu, https://studio.code.org, YouTube) და დამატებითი საგანმანათლებლო მატერიალური რესურსი - „გამარჯობა რუბი“, რომლებიც ავსებს და ამდიდრებს სასწავლო პროცესს. გრაფიკული რედაქტორები Paint, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით”, Sway, Powerpoint, Word, Excel, google drive, Microsoft-ის ღრუბლოვანი შენახვის სერვისი One Drive. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ინტერნეტპლათფორმებზე განთავსებულ სასწავლო რესურსებს, კოლეგების მიერ გაზიარებულ საკუთარ რესურსებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას, კათედრებზე განიხილება ეს საკითხი , მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება პედაგოგების მიერ შერჩეული და სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები(ელექტრონული თუ მატერიალური) შეესაბამება ესგ-ს და კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი (სულ სამი პედაგოგი) და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი. შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მათთვის საჭირო სასწავლო მასალებითა დატექნოლოგიებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას,ყველა დამხმარე რესურსი შეესაბამება სასწავლო თემებს/საკითხებს, ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლების მიერ ურთიერთშეთანხმებულია და ესგ მიემართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. ~ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. რესურსები წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონულ ფორმატში და თავმოყრილია საგნობრივ

	კურიკულუმებში. სასწავლო წლის დასასრულს კურიკულუმების რევიზია/გადახედვისას მასწავლებლები კათედრებზე განიხილავენ დამხმარე რესურსების ვალიდაციის საკითხსაც და მათი მოსაზრებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება დამხმარე რესურსების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის გზით. საერთო ჯამში, სკოლაში არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების მიზნობრივ, დასაბუთებულ და ხარისხიან გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საჭირო რესურსები, ქიმიური ჭურჭელი, ქიმიური რეაქტივები ინახება საპრეპარატორო ოთახში, ცალკე კარადებში, დაცულ მდგომარეობაში. თუმცა სკოლას არ აქვს

	საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გამწოვი კარადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადად შესაძლებელია მარტივი სადემონსტრაციო ექსპერიმენტების განხორციელება **რეკომენდაცია**: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (2027 წლის მარტი) უკვე არსებულ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის სავენტილაციო მოწყობილობა და/ან ახალი ლაბორატორიის მოწყობა **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოიყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. სკოლას აქვს გლობუსები, როგორც ზოგადგეოგრაფიული, ასევე მსოფლიოს ქვეყნებით, კომპასი. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი. შესაბამისობაშია**

უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს შესაბამისი მატერიალური/არამატერიალური რესურსით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვევტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც

	საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. სკოლას გააჩნია ღია მოედანი და კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 6 პერსონალური კომპიუტერი და პროექტორები. სკოლის შიდა სივრცე სრულად დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ შესაბამის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, რაც დასტურდება მასწავლებლების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით, ასევე ელექტრონული ბაზების გადამოწმებით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ადამიანური რესურსების მართვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- ✓ დანართი N83-კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ დანართი N1-სასკოლო სასწავლო გეგმა (2025–2026წ)
- ✓ დანართი N 3-შესაბამისობის გეგმა
- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ სურიკულუმის ჩარჩოებში წარმდგენილი დავალებების შესაბამისი პირობები/მოსწლის ბარათები,შეფასების რუბრიკები
- ✓ მოსწავლეთა შესრულებული შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები
- ✓ სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენების ამსახველი მტკიცებულებები.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- ✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ✓ დანართი N85 - დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების I-VI კლასების კურიკულუმები;
- ✓ დანართი N1 -სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- ✓ მოსწავლეების შექმნილი რესურსების ამსახველი მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესის პერიოდულ ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას. სკოლამ ინტრვიუების პროცესში გამოხატა მზაობა და გააზრება, მოტინორინგისა და შეფასების სამომავლო გეგმებისა და მნიშვნელობის გააზრების მიმართულებით. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ იკვეთება დიაგნოსტიკური შეფასების სისტემური გამოყენება სასწავლო
პროცესში, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა მისი დანერგვის გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ სისტემური მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უმნიშვნელოვანესია, როგორც პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისთვის, ასევე ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიისთვის.ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს შიდა რესურსების თავმოყრასა და გამართვაზე და გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში დაიწყოს მონიტორინგისა და შეფასების სისტემური დანერგვა, რაც უზრუნველყოფს უკეთ მართულ პროცესებსა და გადაწყვეტილებების, მათ შორის კურიკულუმთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, მტკიცებულებებზე დაყრდნობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3 მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები სკოლის განვითარებაში უკავშირდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მათ შორის მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების - მხარდაჭერასა და დახმარებას. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის წარმომადგენლები იაზრებს, რომ ეს პროცესი არ არის მხოლოდ კონტროლის მექანიზმი, არამედ მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდისთვის, სასკოლო კულტურის გაჯანსაღებისა და საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობისთვის.ასევე ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ხდება დაკვირვება მოსწავლეთა ჩართულობასა და მიღწევებზე და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სასწავლო პროცესის ადაპტაცია. სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა ნაკლებად არის წარმოდგენილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტაცია
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრებს, შემოქმედებით დავალებებს, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობას. შეფასების მონაცემები აისახება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე მოსწავლეთა პირად საქმეებში, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენებას მოსწავლეთა მიღწევების ეფასებისას. მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს და ხელმძღვანელობს ჰოლისტური მიდგომის პრინციპებით. მოსწავლეთა შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო პროდუქტით, არამედ შეფასება ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესშიც, გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი ინსტრუმენტები.შესაბამისად, შეფასების პრაქტიკა მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წყაროებს, პროცესზე ორიენტირებულ მიდგომებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც არსებითად ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხობრივ გაუმჯობესებას სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სასწავლო გარემო, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ჩართულობა და სასწავლო პროცესში გამოვლენილი პროგრესი. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთჯერადი აქტივობებით და მოიცავს მოსწავლის განვითარებას სხვადასხვა კონტექსტში. ინტერვიუებში სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ,რომ ცდილობენ,შეფასების პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, წინარე ცოდნა და გარემო პირობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა დაკვირვება, ზეპირი და წერითი დავალებები, შემოქმედებითი დავალებები და მიმდინარე შეფასება. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას. სკოლაში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები, შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მასწავლებლები,ხოლო მშობლების ჩართულობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4 შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სოციო-ემოციურ ფონს და ზოგად უნარებს. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროგრესი, ჩართულობა და
მიღწევები. ასევე გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას.
ასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება შეფასების პროცესში მონაცემთა სისტემური ანალიზისა და მისი შედეგების სტრუქტურირებული გამოყენება კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტაცია
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- ინდივიდუალური მუშაობის ამსახველი მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში კურიკულუმის განვითარების საჭიროებები ძირითადად განისაზღვრება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მიღებული გამოცდილებისა და საგნობრივი კათედრების ფარგლებში ჩატარებული განხილვების საფუძველზე. კათედრების შეხვედრებზე გამოვლინდება და განიხილება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეები და განისაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. რეკომენდაციათა ჩამოყალიბების პროცესი ამ ეტაპზე მეტწილად დოკუმენტშია გაწერილი,აქვს ფორმალური სახე და საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას პრაქტიკულ დონეზე, თუმცა სკოლაში მზაობა და საფუძველი შესამჩნევია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის განვითარება და მისი ცალკეული ელემენტების გადახედვა ხორციელდება წინარე გამოცდილების,დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება.

სკოლაში არსებული კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის რევიზია წინა წლის პროცესის ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება. ანალიზზე დაყრდნობით კურიკულუმი ყოველწლიურად უნდა განახლდეს.მართალია, ეს პრაქტიკა აღწერილია მეთოდოლოგიაში და მისი პროდუქტი და მტკიცებულებები ჯერ არ არსებობს, თუმცა პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის აღწერილი მიდგომა შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის შეხვედრების და განხილვების მტკიცებულებები
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
-

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნათია ბრეგაძე



სოფიო გაგოშიძე--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: